



1993
ნოემბერი
1
ნომერი
№26 (15617)
ფასი 10 მანეთი

საგარეო ურთიერთობების
სამსახური

საგარეო დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება

საგარეო ურთიერთობების სამსახური

გამუშავებული საკითხების შესახებ

დაიბნა კალამი, გახედა სული, გონებას უჭირს. ნორმალურად გაჯანსაღებული იმ ვანდალიზმის, რაც ამ ბოლო დღეებში საქართველოს მტრების ხელით განხორციელდა, გულს აღარ ძალუძს რისხვისა და სასოწარკვეთილების გაუსაძლისი განცდა ერთდროულად დაიბნა. დაზარალებული შენობები, ცეცხლწაივლილი სახლები, უსულო ადამიანთა გვამები, გაყინული თვალები ქუჩვით. განგმირული ბიჭუნასი, ამჯერ უფრო ამჯერაზენი, კომპარტული სურათის ნახვა წარმოუდგენელია. ასე მხოლოდ იფიქრებდნენ ორდენის წევრები, ჯან პიტლერის დამსჯელი რაზმები თუ იქცეოდნენ. ცხადი და ნათელია უცვლილად. ეს აშკარა უცხოური ექსპანსიაა. აფხაზეთი მესამე ძალის ხელში იქცა იმ იარაღად, რომლითაც საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას ებრძვიან. და ებრძვიან წარმატებითაც. იმიტომ რომ შინით, ქართველი ერის წიაღში ნაპოვნია საიმედო დასაყრდენი ძალა ეგრეთწოდებული „მეტყუთე კოლონია“, რომლის შემაღვლოებაშია მოქცეული ყველა ჯურის გადაგვარებული ქართველი. უფრო სწორად, ანტიქართველი, რომლისთვის გარდა პირადული ინტერესისა, არ არსებობს სხვა არავითარი ამოღებული გრძობა.

გავიხსენოთ, ჩვენი ბედარული ისტორია, როდის იმარჯვებდა ურიცხვი მტრის წინააღმდეგ მდგარი ქართველი ხალხი, როცა იგი ერთიანდებოდა ერთგული თავისუფლების იდეის გარშემო.

დაუმორჩილებლობის სულში მუდამ დღვიდა ის მარადიული ცეცხლი, რომელიც ქართველ კაცს არ აძლევდა ქედის მოდრეკის, და ჩოქების საშუალებას. ასე იყო ქუჩისა და ფარნავაზის დროს; დავით კუროპალატისა და ბაგრატ მესამის ჯეობის უამს, რომ არა-

ერთ მუშტად შევიკრათ

ფერი ვთქვათ დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ოქროს ხანაზე. სისხლიანი მათიანე ჩვენი მრავალტანჯული ქვეყნისა სასოებით ინახავს სამშობლოსათვის წამებული მარტვილებისა, თუ გმირების მარად გაუხუნარ სახეებს. საკუთარი სიცოცხლე ამ ნათელ პიროვნებებს უყოყმანოდ მიჰქონდათ უფარაქად მამულის საკურთხევალზე. როცა ეცემოდა ბრძოლის ველზე მღვდელი თევდორე, მისი დაუმორჩილებელი სული სიცოცხლეს განაგრძობდა მეფე დემეტრე თავდადებულში, რომელიც მამულის თავისუფლებას ეწირებოდა პირტიკელი მზეჭაბუკ პატას სიცოცხლე. მისი სული სიცოცხლეს განაგრძობდა მთა წყნეთელში ბატრიონის გმირებში და ა. შ.

ასე იყო, საქართველოს გადამარჩენელი იყვნენ ლომგულა თოროსანნი, ურჯლოთა ხმლით მკვეთენი. მაგრამ არა მარტო ისინი. მათთან ერთად ისტორიის

მტვერწაყრილ ფოლიანტებში თავიკარული მწიგნობარნი, მზით ნაკურთხი კალმით რომ აღამალლებდნენ მამულის სახელს. მაგრამ არც შინა გამცემნი აკლდა ქვეყანას. მათი ნაწიერი დღესაც აკეთებენ ბნელ საქმეებს. გელს ანთხევენ, ავად ხისინებ-

ენ, კუთხების ერთმანეთზე წაკიდების სატანურ ვენებას აყოლილნი, აღგენენ მწკრივულ გვამებს. ერთი ხანობა ასეთმა აკაცებმა ჩვენეთი დავისახეს ქართველთა მოსისხლე მტრად. ახლა კი მტრის ხატს თვით ქართველებში ეძებენ. ლამის ერთმანეთს სამკვდრო-საციცოცხლოდ წაკიდონ მეზობელი რაიონები. ამდგვარ მუხანათურ ანკეს არ უნდა წამოვიდეთ, ასეთი მწკრივული გვამები უნდა დროულად ვამხილოთ.

თანამემამულენო! სამშობლო განსაცდელშია. უცხო ძალა, უფრო სწორად „ჩრდილოეთის სფინქსი“ ამღვრეული თვალებით იცქირება ჩვენსკენ.

ისევ თავისი დიქტატის ქვეშ ჩვენი დამოუკიდებელი ქვეყნის მოქცევას ლამობს. არ მივცეთ მას ამის საშუალება. ახლა, როგორც არასდროს, საშურია ერთ მძლავრ მუშტად შეკვრა, საეჭვო პოლიტიკური ლავირებებისა და თვალთმაქცობისთვის უფრგის შექცევა და ქვეყნის ხსნის იდეის გარშემო შეკავშირება.

ერთობით დაიძლევა

„უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების წინ და აინუნშიც არ მოგვდის. ამ თხრილის პირას ვდგავართ და საკმაოა ზელი გვკრან და შიგ დადავიჩნხოთ დე დაბუდინად“... ასე წერდა საუკუნის წინ დიდი ილია.

რაოდენ სავალალოა, რომ ქართველებს თავს დატეხილი უბედურების გვიან დაანახვა გვჩვევია. მაშინ დავფაცურდებით, როცა ბოროტი ძალა უკვე მოახერხებს თავისი შავი საქმის გაკეთებას. შევივინაოდავ სულსა და ხორცს. მოხდება საბედისწერო ფაქტი და... მერე იწყება მისი გაანალიზება. ვარწმუნდებით, რომ შეიძლება თურმე ამ ტრაგედიის თავიდან აცილება.

როგორ მეორედ იხსნის ისტორია შევხოთ დღევანდელ ჩვენს დუქტიერ ყოფას, ურთიერთ დაპირისპირების საშინელ კოცონს, არა და არ ცხრება სიძულვილის დემონი, ძმა ძმას დაუპირისპირდა ხშირად ვერ გავიჩვენებთ, ვინ არის ჩვენი მეგობარი და ვინ კი დევ ავის მოსურნე, ჩვენი გათ-

შულობით მტერს ავუსდინეთ სავადელი. თუ დროზე არ მოვეცეთ გონს, ისეთ უბედურებას დავიტეხვით თავზე, რაც ეროვნული კატასტროფის ტოლფასი იქნება. ახლა გვმართებს იმ სანდომწიფოებრივი გონის გამოჩენა, რასაც ისტორიულად არაერთხელ გადაურჩენია ქვეყანა. ბოლოსდაბოლოს ხომ უნდა დავხვას წერტილი რუსეთის თვითმფრინავების თარეშს სოხუმის ცაზე, მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვას. დროა, გავაგებინოთ აგრესორებს, რომ ძირძველ ქართულ მიწას ქართველი კაცი სხვას არ დაუთმობს.

მოვუწოდებ თვისტომს, არ დრკეს, შეუპოვრად შეეიდიოს როგორც სოციალურ სიძინელებს, ისე სულიერ ვარამს. მჭერა, ერთად დგომით, ერთურთის პირისა და ლხინის გათვისებით თავს დავაღწევთ შექმნილ კრიზისს და დავიწყებთ ჭეშმარიტი თავისუფალი, დემოკრატიული საქართველოს შენებას.

მამა სვინიძე.

გ ი რ ზ ე ვ თ ი

2 ივლისს, 12 საათზე ბოტანიკური ბაღის სკოლაში დარბაზში ჩატარდება ლექცია-საუბრაში ეროვნული მოძრაობის აქტუალურ პრობლემებზე.

მომხარება „აქონილი“

საგარეო ურთიერთობების განყოფილება

ის ხომ აშკარა ცილისწამებაა

მაშინ, როცა აფხაზეთის სამარჯოში გრძელდება სისხლისღვრა, ინტენსიურად იბომბება სოხუმი, იღუპება ათეულგობით უდანაშაულო ადამიანი, ყოველგვარ საზღვარს სცილდება საინფორმაციო საშუალებების ანგარიშმიუხეციელი ცილისწამებულური პროვოკაციული ხმების გავრცელება, თითქოს კანონიერების მომხრე შეიარაღებული შენაერთები საეჭვო ალიანსში იყვნენ აფხაზეთის მხარდებლები. სახეზეა ავისმოსურნე, სულმოკლე ქართველთა მცდელობა ღირსება შეუღებონ კანონიერების მომხრე ეროვნული გვარდიის სამხართველოს უფროსს, პოლკოვნიკ ლოთი ქობალიას. ასეთი მადესკრიტიკით ინფორ-

მაციები კიდევ უფრო აღრმავებს იმ ნაპრალს, რომელიც არსებობს ორ დაპირისპირებულ ბანაკად გაყოფილ საქართველოში. დღეს, ასეთ უმძიმეს პოლიტიკურ-ეკონომიკურ სიტუაციაში იმას კი არ უნდა ვარკვედეთ, ვის რა პოლიტიკური უფლებები მიენიჭოს ჩინიდან გამოსასვლელად, არამედ უნდა ვესწრაფვოდეთ მტრის წინააღმდეგ მეომრული ძალისხმევითა და სულის გაერთიანებას. ხომ ცნობილია რომ ერთგული გვარდიის სამხართველოს მნიშვნელოვანი კონტინგენტი დგას აფხაზეთის ძირძველი მიწის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სადარაჯოზე. ამ რამდენიმე დღის წინათ თავად დამუშ-

ულმა და სიძულვირით გულშეიარებულმა უზგდილა გამოხატა რესურსები და პროდუქტები, ტანსაცმელი და სხვა აუცილებელი ნივთები გაუგზავნა აფხაზეთში მყოფ მებრძოლებს. და ასეთ დროს ფაქტობრივი ხელისუფლება ხობსა და სენაკში აგებს ბარაკებს, მიწაყრილებს, ახდენს მნიშვნელოვანი შეიარაღებული კონტინგენტის თავმოყრას. ამის უკან იკითხება მწკრივული განზრახვა დანარჩენ საქართველოს შეუქმნან დაუმორჩილებელი სამეგრელოს მიმართ უნდობლობის ფსიქოლოგიური ატმოსფერო, იპოვონ განტყვევის ვატი აფხაზეთში განხორციელებული წარუმატებელი სამხედრო ოპე-

რაციებისათვის.

ნუ ვიწამთ ამს, ბატონებო. ეს ხომ ამაო გარჯაა, ხალხი არ გახლავთ ისეთი უბირო, რომ ამდგვარი რამ დაიჭიროს. ვიფიქროთ ერის გამოლიანებაზე და არა ურთიერთის მიმართ უფრისა და ბოდმის თესვაზე. სამეგრელოდან არავითარი საშიშროება არ ელის საქართველოს. აქ მხოლოდ კანონიერებისათვის მებრძოლი ამაყი კოლხური სული ტრიალებს, რომელსაც ხვალინდელი ბედნიერი, მთლიანი, წინეობრივი საქართველო ეოცნებება.

ჩვენი დაუფიქრებელი, აშკარად საზიანო ქმედებებით ნუ მივუშვებთ მტრის წისქვილზე წყალს.

მ. ლამინია.


დრო არ ითმენს

„უზგდილის № 1 ჩაის ფაბრიკისაკენ როდი მიემართებიან ჩაით დაცვირებული მანქანები. აქ არც „მიწვევალზე“ და არც რიგები. მოაქვთ ჩაის ნედლეული კანტიკუნტად.

არსებულ სიტუაციაში ფაბრიკის მიღებული და გადამუშავებული აქვს 120 ტონა ჩაის ფოთოლი, რომელიც ძირითადად კორცხელზე, ოდიშელზე, ზედაეწერელ მეჩაეთა მიერაა დამზადებული. ამ დღეებში 2-2 ტონა ჩაის ფოთოლი შემატეს მრეწველობის ჩაის ფაბრიკისა და ინდივიდუალურადა მეჩაეებმა.

დრო არ ითმენს. გადაუხეშა ჩაი. ელოდებიან როდის მოაწოდებენ ნედლეულს ქითაყარის, კოლხიდისა და ხეცევის საზოგადოებრივი მეურნეობები.

ლ. ნიჭია.



ინტერვიუ

როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, ამ დღეებში დაუძინდა სამეგრელოს რეგიონის აღორძინების ფონდი. ჩვენ შევხვედით ფონდის გამგეობის თავმჯდომარეს ბატონ სოსო ლავინიასს და ვთხოვეთ პასუხი გაცვა რამდენიმე შეკითხვაზე:

—ბატონო, სოსო, რამ განაპირობა სამეგრელოს რეგიონის აღორძინების ფონდის შექმნა?

—სამეგრელოს რეგიონი, დღეს, უმძიმეს მდგომარეობაშია ჩავარდნილი. ფაქტობრივად ხელისუფლებამ ეკონომიკურ ბლოკადაში მოაქცია იგი. არ ცხვება პური, არ შემოდის სურსათი, თუ შემოდის უმნიშვნელო რაოდენობით ან დიდი დავიანებითა და შეფერხებებით რიცდება ხელფასები, პენსიები, თითქმის მოშლილია სახალხო მეურნეობა. „თითქმის“. იმატომ, რომ თითო-ორჯერ სწავარბო თუ მუშაობს და ისიც არასრული დატვირთვით. ხალხს არა აქვს მუშაობის პირობები, და რა თქმა უნდა, არა აქვს აუცილებელი სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქტების შესაძენი თანხები. დროა, ადგგეს სახალხო მეურნეობა, წელში გაიმართოს გლეხობა. და კიდევ, როგორც არსად ისე სჭარბობს სამეგრელოს რეგიონში ლტოლველთა რაოდენობა ეს იმ ადამიანთა აურაცხელი ჯგუფია, რომელიც დღევანდელმა ხელისუფლებამ მათხროვებდა აქცია.

სამეგრელოს რეგიონზე მოდის ძმობაშვილები რომელიც დაღუპულთა დიდი რიცხვი. ბევრი მათგანის ოჯახი დღეს ულუკმაპუროდ და მარჩენალის გარეშეა დარჩენილი. ეს არის ძირითადად ის მიწეხები, რამაც გადაწყვეტინა ეროვნულ ძალებს სამეგრელოს რეგიონის აღორძინების ფონდის შექმნის აუცილებლობა. იმათთვისაც მინდა განაცხადო, ეს არ არის პოლიტიკური ორგანიზაცია, არც ზემდგომი მაკონტროლებელი ორგანო

ლავთ, და არც პარალელური მმართველობითი სტრუქტურა. ეს არის საქველმოქმედო ფონდი, რომელიც იარსებებს შემოწირულობათა საფუძველზე და გარკვეულწილ დახმარებას გაუწევს პოლიტიკური, ეკონომიკური მდგომარეობით გულშემატირებულ ადამიანებს

—სამეგრელოს რამდენი რაიონი თანამშრომლებს ფონდთან?

—ფონდი სამეგრელოს რეგიონს აერთიანებს მთლიანად, ზუგდიდში, წალენჯიხაში, ჩხოროწყუში უკვე შექმნილია ფონდთან არსებული რაიონული მართვის სამსახურები. არ დაგვივალავთ, —სენაკში, აბაშაში, ფოთში, ხობში.. ჯერ-ჯერობით ფერხდება ფონდის დაფუძნება. იქ ძირითადად ხელისუფლებელ ძალად ადგილობრივი ფაქტობრივი ხელისუფლება გვევლინება (ჩვენთან ზუგდიდში კი განკარგულებას ფონდის დაარსების შესახებ ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგებელი აწერს ხელს).

—მაინც რატომ ფრთხილობენ იქაურები?

—თქვენც გაიგეთ, ალბათ, ქორები, სამეგრელოს რეგიონის აღორძინების ფონდი ძირითადად ლოთი ქობალიან გვარდის დასაფინანსებლად იქმნება. ამ რაიონებში ფაქტობრივი ხელისუფლება ძალობს და რა თქმა უნდა, ამ

საბაბით მათ ეს ჰორი გამოიყენეს ფონდში თანამშრომლობისგან თავის დასაქურენად. მიუღი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: არ ვაფრინანებთ ბატონო, ლოთი ქობალიანს. ეს აშკარა ცილისწამებაა. ფონდს, როგორც ეს ნაწილობრივ მოგახსენეთ, ათასი საზრუნავი აქვს. ეტყობა, სამეგრელოს ბევრ რეგიონში ჯერ-ჯერობით სრულყოფილად ვერ იცნობიერებენ მისი შექმნის ძირითად არსს.

იმის შესახებ. თუ რა ურთიერთობა გვაქვს ჩვენ ამ პუნქტებთან... საკონტროლო გამოწვევები პუნქტის სამუშაო ინსტრუქციის გათვალისწინებით, შემოტანილი ტვირთთან შედის პროცენტი მტკიცე ფასებით უნდა მიეყიდოს სამეგრელოს აღორძინების ფონდს, ესაა და ეს. ჩემი აზრით, ყველა პატიოსანი ადამიანი უნდა მიესალმოს გზებზე მაკონტროლებელი პუნქტების შექმნას, მითუმეტეს თუ პუნქტები ქვემარტივი მამუ-

ბევრი თანამშრომელიც აქვს და თხოვს სამსახურიდან ამ მიზეზით — მე ვფიქრობ, რომ მათ უბრალოდ ეს არ მოინდომეს, თორემ შესაძლებლობა აქვთ. დარწმუნებული ვარ, გამოსწორდება მდგომარეობა.

შემოწირულებებზე დაყრდნობით ჩვენ უკვე დავეყუთ პრაქტიკული საქმიანობა. უახლოეს ხანში შევქმნით სპეციალიზებულ მაღაზიებს, სადაც შედარებით ხელსაყრელ ფასებში (კუბონებზე) გაიყიდება როგორც სამრეწველო საქონელი, ასევე სასურსათო პროდუქტი.

მოკლე ხანში ფონდის სახელით ჰუმანიტარული დახმარება (სურსათი) გაეგზავნება გუმისთას ხაზზე მეტროპოლსს. სატელევიზიო ინფორმაციებს თუ დავუჭერებთ მეომრები თითქმის უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ საკვებით. მაგრამ ეს ასე არ არის. გთხოვთ, ჩემი სიტყვები დააფიქსიროთ, მკითხველმა უნდა იცოდეს, მეომრები შშივრები არიან. მათთვის განკუთვნილი ჰუმანიტარული და ხმარება ადგილობრივ კლენების ხელში ვარდება და გემებით და თვითმფრინავებით სხვადასხვა მიმართულებით იგზავნება.

ამ დღეებში ფონდის გამგეობა საკომპიუტერო ბაზარსაც ესტუმრება. ვცდილობთ რექონების დაგვარად მოვაწესრიგოთ მყიდველ-გამყიდველის ურთიერთობა. გამყიდველთა უმრავლესობა სპეკულანტია „მესამე, მეოთხე ხელი“. ბაზარი უნდა გაიწმინდოს ქორვა კრებისაგან, უნდა იყოს ნამდვილი გამყიდველი და მყიდველი ერთი სიტყვით სამეგრელოს რეგიონის აღორძინების ფონდს სერიოზული სამუშაო აქვს შესასრულებელი.

—გმადლობთ, საუბრისთვის, —გმადლობთ.

„არ ვაფინანსებთ, ბატონო, ლოთი ქობალიანს...“

—ბატონო, სოსო, ჰორის ხსენებაზე ბაქრემ ერთ საკითხშიც ვაგვარკვევთ.. რა საბაზოება შექმნილი თქვენს ფონდთან?

—ისევე არასწორი ინფორმაცია არავითარი საბაზო. ეროვნული გვარდის მთავარმა სამმართველომ ზუგდიდიდან გასასვლელ გზებზე შექმნა საკონტროლო-გამწვევები პუნქტები. რომლებიც ძირფხვიანად შეისწავლიან ზუგდიდიდან გამავალი თუ შემომავალი კომერციული ტვირტის ასავალ-დასავალს. ჯერ, ეს ერთი, რომ მთელი ზუგდიდის შემოსავალი, თუნდაც ჩაი, ყოველგვარი ბარტოული გაცვლის გრემე გაიზიდა საქართველოდ. ფერადი ლითონებიც ხომ თურქებს ვაჩუქეთ. და რაც მთავარია, უკვე მეორე წელია უმოწყალოდ იძარცვება გზები სხვადასხვა კუთხეებიდან „შემომხტარი“ შეიარაღებული ჯგუფებისგან.

რაც შეეხება ჰორის საფუძველს საბაზოს შესახებ, გამოწვეულია იმით, რომ საკონტროლო-გამწვევები პუნქტი უფლებამოსილია ყველა სახის სატრანზიტო (გამავალი) საქონელი დაბეგროს ღირებულების შედვი პროცენტით. ახლა,

ლოშილებსაგან შემდგარი ჯგუფებით დაკომპლექტდება და იქიდან მიღებული პროდუქტი იმავე მტკიცე ფასებით თანაც კუბონებში მიეყიდება მოსახლეობას.

—ფონდს დაარსების პირველი დღიდანვე გამოუჩნდა მხარდამკერები. თქვენც ვადადგი თუ ალბათ უკვე პირველი ნაბიჯები.

ფონდის პირველი თანამგრძნობი ბატონი ზვიადია, მან უკვე გამოგვიგზავნა თანადგომის წერტილი და ათი ათასი მანეთი გადაგვირცხა. ბევრი ზუგდიდელიც მოვიდა მოკრძალებული შემოწირულებებით. გულახდილად გიფხრათ, გული მწყდება, ვისაც უჭირს —ის კავიყვასაც არ იშურებს. ვი საც აქვს ის.. წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებიც, რატომაც თავს იკავებენ, თუმა არა დიდი ნაწილი. სხვათაშორის ჩვენს ფონდთან თანამშრომლობენ რუსეთის სხვადასხვა ოლქში, თურქეთში, საფრანგეთში, ინგლისში მცხოვრები ქართველები.

—უნდა ჩავთვალოთ, რომ წარმოება დაწესებულებების ხელმძღვანელები ამას ვერ ახერხებენ უსახსრობის გამო. ცნობილია, მათ

ქვემარტივი მამულიშვილთათვის ერის ისტორია არის სვეტი ნათელი, სალოცავი ტაძარი, დედაბოძი, ცხოვრების ხე, რომელსაც აგვირგვინებს მზის ბორჯალი. ფაზის ძველი ბერძნები მზის შვილად მიიჩნევდნენ. კოლხეთის მრისხანე მბრძანებელი აიეტი ბერძენთა თვალში მზის შვილია. აიეტის დაიკრივე ბერძნულ მითოლოგიაში ნახსენებია ჰელეოსის ქალიშვილად. მზის სიმბოლოებითაა მოხატული დავით აღმაშენებლის სამოსი გელათის ფრესკაზე. საერთოდ, დედაკაცი მიჩნეული იყო, როგორც ქალი-დემონი, ანუ მზე, ანუ სიცოცხლის საწყისი. არგონავტიკაში მედეა ჰელიოსის შვილიშვილია. ბერძნულად მედეა „ბრძენ ქალს“ ნიშნავს. ქართველ ქალებს უდიდესი მოწიწებით მოიხსენიებდნენ; პიეტრო დელა ვალე, ანდრეა ბორომეო, არქანჯელო ლამბერტი, ქრისტეფორე კასტელი, დონ-ქაულეე ჯუდევი, ფრიდრიხ ბოდენშტედტი და მრავალი სხვა. მათი საერთო აზრი ასეთი იყო „ქართველი ქალები უფლებებრივად, მორალურად, ფიზიკური სილამაზით ევროპულ ქალებს ბევრად აღემატებიან“ ქართველი ქალები და საერთოდ ქართველები უღაოდ ულამაზესი და ზნეკეთილი ხალხია. დედაშიწაზე მოსახლე ადამიანებს შორის. ასეთი ზნობრივი სიფაქიზე, —სილამაზესთან შერწყმული, ხვედრია კულტურის მაღალ საფეხურზე მდგარი ხალხისა“.

ახლა კი მივხედოთ, თუ როგორ მოიხსენიებს დღევანდელი ქართული ნაწილი ქართველ ქალებს და საერთოდ ქართველ ხალხს თავიანთ მრისხანე გამოსვლებში თენგიზ სიგუა: „ქალების ეს უსახო მასხა“. ჩანსუდ ჩარკვიანი: „უნამუხო დედაკაცთა ეს კრებ-

უვალსაზრისი

„არგონავტიკაიდან დაკავშირებულ ოდიშაჰედა“

ული“. ჯაბა იოსელიანი: „ქარვის დედაკაცების ხსენებისას ჟრუანტელი მივიღის“ ელდარ შენგელაია. „ასალაგმავი უბატრონო ქალები“. ვალერიან ალვაძე. „ყოველად უსახო ბრბო, ყაჩაღთა საკრებულთა“ მოდი და ამის შემდეგ ზნეობაზე ილაპარაკებ. ვიდრე ასეთი ინტელიგენცია გვმოძღვრავს და ვიდრე ასეთი ე. წ. მთავრობა გვაყავს, ქართველი ქაცი ნორმალურად ვერ იცხოვრებს საქართველოში. დაკანონებული უკანონობა სუსწრაფოდ უნდა აღიკვეთოს. საქართველოში უნდა აღსდგეს კანონიერი ხელისუფლება და კანონი. უამისოდ საქართველოს დაღუპვა ელის. ვიდრე საქართველოში კანონიერი იხიებოდა, ჩვენ, ზუგდიდელებმა მივიხედ-მოვიხედოთ, ოდიშარებს უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ: კოლხეთად, ლაზიკად ეგრისად და ბოლოს სამეგრელოდ წოდებულ ტერიტორიაზე განფენილი უძველესი კულტურის მატარებელი ქართველური ტომი ვართ, ვისაც ბერძენებმა „თქმულება არგონავტიკაზე“ მიუძღვნა, აპოლონ როდოსელამდე ბევრად ადრე, „ნავაპტიკაში“. რომ ჩვენ ცოტენ დადიანისა და გიორგი ჭყონდიდელის მშობელი

ოდ წოდებულ ტერიტორიაზე განფენილი უძველესი კულტურის მატარებელი ქართველური ტომი ვართ, ვისაც ბერძენებმა „თქმულება არგონავტიკაზე“ მიუძღვნა, აპოლონ როდოსელამდე ბევრად ადრე, „ნავაპტიკაში“. რომ ჩვენ ცოტენ დადიანისა და გიორგი ჭყონდიდელის მშობელი

კუთხის შვილები ვართ. აქედან გამომდინარე ნუ ვათქვამებთ ყოველ ვიკინდარას ჩვენს სამაჟო მშობლიურ ქალაქ ზუგდიდს. არა და უზუნებია სახეზეა. მოდიოცივი გონებითა და მიუეკრიობელი გონებით განვსაჯოთ და დავსვათ ასეთი შეკითხვა: ვის აწყობს ოცდამეერთე საუკუნის ზუგდიდი დემსგავსოს დიდ გალიას. ე. ი. გალია—ქალაქი? ფრანგებმა ბასტილია დაანგრეს. ჩვენებმა კი, ზედ ქალაქის შუაგულში სასტუმრო „ოდიში“ ციხესიმაგრედ აქციეს. ზუგდიდის საზოგადოება მოითხოვს პასუხს შეკითხვაზე: რა საქირიება მოიტანა ის, რომ ქალაქის ცენტრში აშენებული სასტუმრო „ოდიში“ დააპატიმრეს, გისოსებში ჩასვეს და ზედ ბოქლოში დაადეს? თუ შენობა რესტავრაციას ექვემდებარება, (რაც სახეზეა)

რესტავრაცია ხომ განახლებას ნიშნავს და არა რაიმეს დაბატებას, რომელიც ამა თუ იმ ნაგებობის ფასადებს დაამახინჯებს. „ოდიში“ მებალითაჟე კი სასტუმროს ციხის იერსახეს შესძენს. თუ შენობის რესტავრაცია მიმდინარეობს კერძო პირის ხარჯებით, გამოდის რომ მოხდა ჩუმი პრივატიზაცია შენობისა, რაც დაუშვებელია და უკანონო, რადგანაც აუქციონზე არ ყოფილა გატანილი შენობის პრივატიზაციის საკითხი. მითუმეტეს საპრივატიზაციო თანხა კრედიტების სახით მოსახლეობას არ მიუღია: და თუ მოხდა პრივატიზირება, მაშინ უნდა ვივარაუდოთ რომ უფლებებელყოფილია ადამიანის უფლებები საკუთრებაზე. თუ ამ რესტავრაციას აწარმოებს სახელმწიფო სახსრებით—სახელმწიფო, მაშინ იგნორირებულია მოსახლეობის სოციალური დაცვა, რადგანაც თუ კი ასეთი მავტაბური სამუშაოების შესასრულებელი თანხა გაანთა სახელმწიფოს, მაშინ რატომ არ შემოაქვს დამწვეულ მოსახლეობაში პირველი მოხმარების პროდუქტები პური, შაქარი და ა. შ. თუ კი ვიღაცას აწყობს სხვათა თვალის ასახვევად გარეგანი იერსახე დაუბრუნოს ქალაქის ცენტრს, მაშინ რა საქირია ვის ოსები? გელოდ ფაცაცია, ადამიანის უფლებათა დაცვის ზუგდიდის რეგიონალური ასოციაციის კორესპონდენტი.

ყავანოღათათვის

საოცარი ბედი არგუნა განგებამ საქართველოს. უხვად უბოძა თვალწარმატაცი ბუნება, გონი და ნიჭიერება ზედმწიფებით თვითმყოფადი ნიშნებით აღბეჭდილი სულიერი კულტურა. მაგრამ მოსურნეიც ბევრი გაუჩინა. ამიტომაც დაეებდა მარამ ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანას ბრძოლებით, ტკივილებით, შფოთვით გამოველო ქართველიანი საუკუნენი და ასე დაეცვა თავისი ენა, მამული, სარწმუნოება. ამიტომაც, ჩვენნი ბედკრული ისტორიის ამსახველი ყოველი ახალი გამოცემა განუწომელ ინტერესს იწვევს. გამოცემლობა „ვერიკამ“ გაამოსცა „საქართველოს ისტორია უმანჯილათათვის“. ეს წიგნი წარმოადგენს ცნობილი ქართველი მწერლის სიმონ ქვარაიანის მიერ შედგენილ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს, 1918 წლის გამოცემის აღდგენილ ვარიანტს. სამწუხაროდ, სიძველის გამო ვერ მოხერხდა რამდენიმე სურათის რესტავრაცია. უმანჯილათათვის განკუთვნილი ჩვენი სამშობლოს ისტორიის შემოკლებული კურსი უთუოდ დაინტერესებს როგორც სკოლის მოსწავლეებსა და პედაგოგებს, ისე ფართო საზოგადოებას.

ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი აკომპანიმენტები

„თუ გინდა ჰვარს ეცვი, საშველი არ არის, არ არის, არ არის...“

უკვე კარგა ხანია, დასამალი არ არის: რაც უფრო გადის დრო, მით უფრო ღირს არათუ ცხოვრება, არამედ, უბრალოდ, არსებობაც კი. ესეც ფაქტია: როცა აღამიანის ცხოვრებაში დგება ხანა, რომელიც მოითხოვს ბრძოლას არსებობისათვის, ყველა სხვა პრობლემა ფერმკრთალდება და გაცივლებით უმნიშვნელო ხდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ პრობლემები ქრება: ისინი მოითხოვენ გადაჭრას, ზოგი მათგანი კი ამას გადაუდებელივც, ამ ეტაპზევე საჭიროებს.

დღევანდელი დღის გადასახედოდას შეგინდა ვცადო იმ უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე თუნდაც ზოგადი საუბარი, რომელიც თავის დროზე უპურადღებოდ იქნენ მითვებული და რომელიც, სხვათა შორის, არც ახლა წარმოადგენენ კომპეტენტურ პირთა დაინტერესების საგანს.

№ 1. „ცული მხ რას დამაკლებდა, ტარი ხის რომ არ იყო...“

„ომი“ — ხომ თავისთავად შემზარავია თავისი არსით ეს სიტყვა, მაგრამ იგი ბევრად შემზარავი, ამარაზენი და, რაც მთავარია, ერისთვის დამლუპველი ხდება, როცა წინ ემართება ერთი, ერთადერთი სიტყვა — ძმობა.

რა იყო მაინც ეს — ღვთის რისხვა თუ ქართველთა მარად თანმდევი სავალალო ბედისწერა? რა პასუხი გავცეთ მომავალში წამოჩიხულ ახლანდელ პატარებს, როცა თითოეული ჩვენთაგანი ვერ ასცდება მათი კითხვა-ჩამდგარი თვალთვლიდან ბაგეთა საშუალებით წარმოქმნილ, ყველაზე ძნელ კითხვას: მაინც რა იყო, რა მოხდა მაშინ...“

რა ვუთხრათ: „ეს იყო შეთქმულება, შეიარაღებული გადატრიალება“; „გამბარჯვა საერთო-სახალხო აჯანყებამ“; „მოხდა დემოკრატიული რევოლუცია“; „ასრულდა ხალხის ნება. ვინც არ დაგვემორჩილება, აღვიღებთ და ვგვანადგურებთ“; „მივივსალმეები ინტელიგენციას, რომელმაც, როცა დემოკრატიას გაუჭირდა, იარაღი აღიღო ხელში“.

ცოტა ხნის შემდეგ კი იმ ამბების შემოქმედთაგან ერთერთი იტყვის: „ეს იყო წმინდა წყლის პუტრი. ყველა შეიარაღებული ჭარისკაცი რევოლუციონერი არ არის“;

ძალაუნებურად გაგახსენდება კაცის პოეტის სტრიქონები: „იმ სისხლიან ხელის მტევნებს, ერთმანეთზე იშვებენ“.

მთავარი დამწამებელი ისევ ჩვენი ვართ — ქართველები. მართალი უთქვამს ხეს: ცული რას დამაკლებდა, შიგ რომ ჩემი გვარისა არ ერიოს.

ისევ ლექსი მასხენდება: მორის ფოცხივილის „ჩემი ქართველები“, რომელიც დღევანდელი დღისათვის საოცრად ყალბად და რიტორიკულადაა შეხამებული: „ერთად იწვიან და ერთერთს აბრწყინებენ, ძმებს არ ამცირებენ, მტერს არ აცილებენ“.

.....

მოყვრებს მოყვრობენ და ყონაღთ ყონაღობენ, გლახაკთ განიკთხვენ, მავრალთ ქომავობენ დედას იფიცებენ, მამულს აღმერთებენ და ღმერთს აღიდებენ ჩემი ქართველები“.

№ 2. „გამარჯობა, ავხაჯითო შენი!“

„ვიცი: შენ ახლა გაყინულ ოთახში ზიხარ, თამბაქოს კვამლით თბები, და ჩემთან ერთად იწვიებ ფიქრს აფხაჯითზე: იქ კი ომია“. (ერთერთი სატელევიზიო გადაცემიდან).

მოზარდობის პერიოდში ბევრ ჩვენს თანატოლთან ერთად მეც არაერთხელ მომისმენია უფროსი თაობის წარმომადგენელთაგან, რომ ჩვენ არ გვინახავს ომი, არ განგვიცდია გაჭირვება და შიმშილი. მაშინ, მეც მეგონა, რომ ომი, რომელიც მხოლოდ კინოფილმებსა და წიგნებში არსებობდა ჩემთვის და ჩემისთანებისათვის, არასოდეს განმეორდებოდა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. დღეს აღწევთ ომი. ომია თავისი დაუწერელი კანონებით. მაგრამ არსებობს ტენდენცია, რომელზედაც თვალის დახეუვა არ ღირს:

ეს ომი, რალაცნაირად, მაინც არ გავს ნამდვილ ომს: მისი არსებობა ჩვენ, უბრალოდ აღამიანებს, მხოლოდ მაშინ გვახსენდება, როცა ტელევიზიით „მაცნეს“, ფრონტის წინა ხაზიდან გავითვალ გაცემებს ან სულისშემძვრელი პანგებით გაფორმებულ „მარადიულ სსოვნას“ ვუსმენთ.

ამ პრობლემისადმი კომპეტენტურ პირთა ზერელე დამოკიდებულება გაუგებარია. გაუგებარია არა მარტო ჩვენთვის, არამედ, როგორც ირკვევა, მეომრებისთვისაც.

როგორც ერთგან ტარიელ ჭანტურია ამბობს — ესტორიას ჩვენ ვქმნით, მაგრამ ისტორიას ჩვენ არ ვწერთ, აფხაჯეთის საკითხზე დღეს არსებულ რამდენიმე ვერსიათაგან სწორია ან არცერთი, ან ერთადერთი, ხოლო თუ რომელია — ამაზე ყველაზე უკეთესად პასუხს პირუთვნელი, მიუყრდნობელი მსაჯული — ისტორია გასცემს.

№ 3. „სახლში კი ისევე აღარღებოთ ბაზარი... ბაზარი... კუპონი და... ოცდაჩვიდმეტი...“

პოეტის ერთ-ერთი ლექსიდან პერიფრაზი ქვესათაურად შემთხვევით არ გამოიძინა: დღეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა არსებობს, რომელიც სისხლბორცულ კავშირშია არსებობისთვის ბრძოლასთან. პრობლემის სახელია ქართული კუპონი.

„რუსულმა მანეთმა ნოკაუტში ჩააგდო უკრაინული კუპონი. საქართველოში ეს გამოიცხადება: მალე ქართული კუპონი ნოკაუტში ჩააგდებს რუსულ მანეთს“ (ერთ-ერთი სატელევიზიო გადაცემიდან).

კუპონის შემოღებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, საქართველოში რომ კუპონის შემოღება ექსპრომტის დონეზე მოხდა, ეს, კარგა ხანია, ყველა სათვის ცხადი გახდა, რაც უნდა ვიძახოთ მაღალი ტრიბუნადან — მოეფერეთ ქართულ კუპონსო, რაც უნდა სამარცხვინო ბოძზე გავაყრათ ისინი, ვინც უარს ამბობს ქართული კუპონით ვაჭრობაზე, საქმეს ვერაფრით ვუშვლით: კუპონის კურსი ამით არ აიწევს. ჩვენი კუპონის რუსულ მანეთთან თანაფარდობაზეც არ ღირს

თვალის დახეუვა, — პირიქით ოფიციალურად უნდა განისაზღვროს ქართული კუპონის რუსულ მანეთთან, როგორც უცხოურ ვალუტასთან რელაურად არსებული თანაფარდობა და უნდა დაჩქარდეს რესპუბლიკაში კუპონის ერთადერთ საგადასახადო საშუალებად გადაქცევა და კავშირებული მოსამზადებელი ღონისძიებანი ყველა დამცავი მექანიზმის გათვალისწინებით. ეს, სამწუხაროდ, ის შემთხვევა არ არის, როცა სჭობს გვიან, ვიდრე არასდროს...“

№ 4. „დღეს, როგორც ძმარ, უვნებობა ძიძვის წინაშე...“

„გასული დღე-ღამის განმავლობაში რესპუბლიკაში დაფიქსირდა 32 სისხლის სამართლის დანაშაული: 7 მკვლელობა, 15 ქურდობა და 16 ყჩაღობა. გახსნილია თერთმეტი დანაშაული („მაცნეს“ კრიმინალური მტკიცების).“

უვნებობა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. მას ვხვდებით ყველგან: ქუჩებში, სადარბაზოებში, სკვერებში, ეროვნული უნივერსიტეტის ბაღში, უკვე ყელაშღებ ამოსულ რიგებში, ტრანსპორტში...

„წუხელ ისეთი შეგრძნებით დამეძინა, თოქოს რაღაც მაკლდა...“

- ალბათ, არ გივანხმია.
- არა, კაცი, ვჭამე...
- აბა, რა გჭირდა?
- ჩვენს უბანში სროლები არ იყო... (შემთხვევით ყურმოკრული საუბრიდან).

ესეც ჩვენი სინამდვილეა. საზარელი და შემავფოთებელი სინამდვილე. ჩვენი სინამდვილეა ისიც, რომ სასტუმრო „ივერიას“ შესიხნული აფხაჯეთიდან ლტოლვილი 6-7 წლის ბიჭები შეუმცდარად სცნობენ, რომელ იარაღს ეკუთვნის დამეუღლი სროლებისა გაგარდნილი ტყვია ან რა კაკანებს თუ ქუსს: „ხელომატი, „ბეკო“, „მეკაროვი“, „ტ. ტ.“...

„კარავლები ქალაქში ყოველთვის განხმობდა სროლა — თუ არ ნადირობდნენ, ერთმანეთს ეჯიარებოდნენ სროლაში, ანდა იმე, უმიწვეოდ ისროდნენ. დამითაც არ ჰკარავდნენ დროს — რომელიმე კარაველი შუალამისას თუ გაიღვიძებდა, იქვე თავით მიუ-

უღებულ თოფს ასწავლავდნენ და ფანჯარაში გასროლა — ისე, ტყუილბრალოდ, მეზობლების გასაგონად. ...და აი, სრულიად შემთხვევით, უცებ კარგა ხანს მიუუჩრდა სროლის ხმა, გაკვირვებულმა ქალბმა თავი ასწიეს, შევლებივით ყნოსავდნენ ჰაერს, „რატომ არ ისწრაფნენ ნეტავი რაიმე უბედურება ხომ არ მოხდა, პა...“

(გურამ დოჩანაშვილი: „სამოსელი პირველი“)

ყველაზე დიდ უბედურებად კი ის უნდა მივიჩნიოთ, რომ დღეს გამეფებულმა უწინებამ წარმოქმნა ნდობის დეფიციტი. ეს უფროვე საგანგაშო გახდება მაშინ, თუკი გვიხსენებთ, რომ ქვეყანა იარსებებს მანა, სანამ აღამიანი აღამიანი ენდობა. თუ არ არსებობს ნდობა, არ არსებობს სიყვარული, ხოლო თუ არ არსებობს სიყვარული, არ არსებობს ცხოვრება; ამიტომ მოდით, ხშირად შევხვდეთ ერთმანეთს პოეტის სიტყვებით: „მამ სიყვარულით, სულ სიყვარულით მიჰყე ცხოვრებას, — თუ შეიძლება!“

№ 5. „მომდინარე და დარღი მიმამპს, რა ომემა ხვალ და ზემ...“

ერის მნიშვნელოვანი ნაწილის ქმედება ან უმოქმედობა შეუძლებელია არ აირეკლოს ქვეყნის მომავალში. ჩვენი შვილებისთვის, პირველ რიგში, ჩვენ ვართ მაგალითის მიმცემნი. მასხენდება ერთი სიტყვა: „დანაშაული მაინცდამაინც მოქმედება არ არის — ის ხშირად სწორედ უმოქმედობაში გამოიხატება“. ალბათ, არ შევეცდები, თუ ვიტყვი, რომ ჩვენ ჩვენს შვილებს ძალიან ცუდ მაგალითს ვაძლევთ და რაც ყველაფერზე უარესია — ვასწავლით ბოროტებასთან შეგუებას. დამწამებელი ვართ ორივენი: ისინი, ვინც ვლემვართ და ისინი, ვინც ბოროტებას ტავს ვუჭრავთ. ჩვენი ნაკამი ყურძენი მალე ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს მოკვდის კბილს. ვიყოთ მარტო იმის იმედად, რომ „შვილი აჯობებს მამასა“.

რომელი მომავალია, ბატონებო, ჩვენი? კარგად ვხედავთ, თუ „ვინ მოდის, მანდ, მომავლიდან?“ მომავლის იმედი ღმერთმა ნუ მოგვიშლი, დღეს კი: „თუ გინდა ჭვარს ეცვი, — საშველი არ არის, არ არის, არ არის!“

ლაშა ბერულაშა, თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი.

ეკოლოგია

ისევ ამერიკული თეთრი კველას შესახებ


ქ. ზუგდიდის და ზუგდიდის რაიონის ტერიტორიაზე მასიურად გავრცელდა საშიში საკარანტინო მავნებელი ამერიკული თეთრი პეპელა, რომელმაც დიდი ზიანი მიიყენა ხეხილოვან და ტყის კულტურებს. ამერიკული თეთრი პეპელას

1-3 დღიანი მატლები აბლაბუღავს ხეხილის ფოთლებს, რაც ადვილი შესამჩნევია. ამ აბლაბუღისაგან გაკეთებულ ბუდეებში მატლები კოლონიებად ერთ კვირაში ცხოვრობენ, ხოლო შემდეგ საკვების ძიებისას მოედებინან ხოლმე მთელ მცენარეს.

მატლებს შეუძლიათ მთლიანად გააშიშვლონ ფოთლებისაგან მცენარე. მავნებლის პირველი თაობა გვხვდება მაის-ივნისში, ხოლო მეორე თაობა ივლის-აგვისტოში. მავნებელი ძირითადად გავრცელებულია კერძო სექტორში. აუცილებელია ბრძოლის მექანი-

კური ღონისძიებების ჩატარება, კერძოდ მცენარეს უნდა შევადრათ ის ნაწილი, რომელიც აბლაბუღავია გავრცელებული და დავწვათ. იქ, სადაც დასახლებაა, საშიშია ბრძოლის ქიმიური ღონისძიებების ჩატარება, ვინაიდან საკარმიდამო ნაკვეთებზე მოსალოდნელია აღამიანის, ფრინველის და პირუტყვის მოწამვლა ქიმიკატებით (ბილის, ბოსტნულის, ბალახის საკვებად მიღებისას). ამერიკული თეთრი პეპელას

შემჩვენებისთანავე გთხოვთ ჩაატაროთ ბრძოლის მექანიკური ღონისძიებანი, ხოლო ქიმიური და ბიოპრეპარატებით ბრძოლის ჩატარების შესახებ უნდა მიმართოთ მცენარეთა დაცვის სადგურს სათანადო რჩევის მისაღებად მისამართით: მ. კოსტავას ქ. №60, ტელ: №2-45-10. კლ. თოდუა, მცენარეთა დაცვის ზუგდიდის სარაიონთაშორისო სადგურის უფროსი.



დედაიდიყ ყველასთვის
ერთია...

ესაქ შენი დაუმორჩილებელი სპორტსკოლა

ქართულმა ენამ ამ ორი სიტყვის შერწყმით გამოხატა ქართველი კაცის დამოკიდებულება მარჩენალი მიწისადმი. გაერთიანა დედა და მიწა.

ვანს. მართალია დღეს, ამ ძნელ ბედობის უამს, როცა თავმოყრილია უამრავი პრობლემა, ძნელია ილაპარაკო, ეკოლოგიაზე, მატერიალური და ფინანსური საშუალებების გარეშე, მაგრამ საფრთხე აშკარაა, რომ არ დაგვიანდეს და ბუნებამ არ გვაგებოოს პასუხი.

ბუნებას თავისი კანონები აქვს და მისი უტოლდინარობა, მისი ხელყოფა იქნება ეს ტყეების გაჩეხვა, ფერდობების გაშინველება თუ სხვა რამ, მიგვიყვანს სავალალო შედეგამდე. ავი მიგვიყვანა კიდევ.

ამ რამდენიმე დღის წინ რაიონში წყალდიდობამ, ნიაღვრებმა დიდი ზიანი მიაყენა ერთწლიან კულტურათა ნათესებს. არა ვართ დაზღვეული სხვა მოვლენებისგანაც.

დღეს კაცობრიობას არჩევანი აღარა აქვს. ან უნდა დაიცვას ბუნება, ან მასთან ერთად უნდა დაიღუპოს. იგი შეეცდომების მბატობელი არ გახლავთ. ეკოლოგიური წინასწარობის დარღვევა უბედურებად დაგვიბრუნდება.

ბუნების დაცვის სახელმწიფო სამსახურები ვერაფერს გახდებიან, თუ ჩვენც არ ვიზრუნეთ ეკოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, არ შევაჩერებ ტყეების უნებართვო ქრა, ფერდობების გაშინველება და სხვა.

ბუნების დაცვის დროებითი „კამპანიები“, ვერ შევლის საქმეს. იგი ჩვენი მუდმივი საფიქრალი და საზრუნავი უნდა გახდეს.

უბრალო, არამეცნიერული, გლეხური ენით რომ ვთქვათ, უნდა დარგავს ხეებმ, რა მნიშვნელობა აქვს, სად დარგავ მას. მთავარია მოუარო, ახარო. ძველი მოკვირით, დავრგეთ კი სანაცვლო?... ეს კითხვა მოსვენებას არ უნდა გვაძლევდეს.

ჩვესს რაიონში რთული ეკოლოგიური ვითარება შექმნილი. იქნება ეს მაღლივი კახალთების უარყოფითი გავლენა, კოლხეთის კარბტენიანი მიწების დაშრობა, ტყეების ქრა თუ სხვა კატასტროფამდე მიგვიყვანს.

ჩვენი რაიონის სპორტსაზოგადოება „შევიადინის“ კომპლექსური სპორტული სკოლის თანამშრომლები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ზუგდიდსა და თბილისში გამართულ კანონიერი ხელისუფლებისა და პრეზიდენტის მხარდასაქვერ სხვადასხვა აქციებში. ჩვენებმა ერთ-ერთმა პირველებმა გამოუცხადეს დაუმორჩილებლობა უთანონო მთავრობას. სპორტსკოლის ერთ-ერთ სხდომაზე მწვრთნელებს მიეცათ წინადადება ბავშვები 15 წლის ასაკამდე არ ჩარეულიყვნენ პოლიტიკურ მოძრაობაში. მათთან სისტემატურად გრაფიკის მიხედვით ჩატარებულიყო საწვრთნო მეცადინეობები, ხოლო მწვრთნელებისა და სპორტმენებისგან შემდგარიყო ზუგდიდის ტერიტორიის დამცველთა რაზმი, რომელიც დროულად იქნა განხორციელებული.

და რესპუბლიკის სხვადასხვა პირველობებსა და ჩემპიონატებში, ერთ-ერთი ასეთი შეჯიბრება ჩატარდა 25-29 მაისს ქ. თელავში, სადაც თავი მოიყარა საქართველოს უძლიერესი ძალოსნების ათი გუნდის 85 სპორტსმენმა. ჩვენი რაიონისა და ქლახის ნაკრები მთლიანად იყო დაკომპლექტებული „შევიადინის“ კომპლექსური სპორტული სკოლის სპორტსმენებით, რომლებმაც მაღალი შედეგები უჩვენეს. ჩვენმა წარგზავნილებმა გუნდურ ჩათვლაში უკან ჩამოიტოვეს ისეთი ტიტულოვანი ქლახის წარმომადგენლები, როგორცაა ქუთაისის, რუსთავის, აჭარისა და სხვა ნაკრებები, ჩვენები მარტო 24 ქულით ჩამორჩნენ საქართველოს ნაკრებს და მეორე საპრიზო ადგილი დაიკავეს. ზუგდიდელმა სპორტსმენებმა 10 წონითი კატეგორიიდან რვა საპრიზო ადგილი დაიკავეს. მათ შორის ყველაზე შედეგიანი იყო იტალიის კუნძულ სიცილიისა და თურქეთის საერთაშორისო ტურნირების პრიზორი, ბულგარეთის ქ. სოფიაში ევროპის ჩემპიონატის მონაწილე სპორტის ოსტატი მუხრან გოგია. როგორც ყოველთვის ჩვენი

გუნდის მომზადებაში დიდ წვლილი შეიტანა სოფ. რიყის გამგებელმა მურმან ვაკუამ. თელავშივე შედგა რესპუბლიკის ძალოსნობის ფედერაციის სხდომა, სადაც ერთხელ აღიარეს ჩვენი სპორტსმენების სიძლიერე. ისიც კი ითქვა, ესეც შენი დაუმორჩილებელი ზუგდიდის სპორტსკოლა, იქვე საქართველოს მოზარდ ძალოსანთა ნაკრებს უფროსი მწვრთნელია შესთავაზეს ჩვენი სპორტსკოლის მწვრთნელს, სპორტის ოსტატს ავთანდილ გახოკიძეს. ჩვენი სკოლის ძალოსნებს დავალოცავთ გზას ევროპის სხვადასხვა შეჯიბრებებისაკენ: სექტემბერში საბერძნეთში გაემგზავრება ირაკლი კუხალაიშვილი, თურქულში ჩებნეთში—ელგუჯა გოგია. ხოლო მსოფლიოს ჩემპიონატში ავსტრალიის ქლახ მელბურნში მუხრან გოგია ისპარჩევს. ღმერთი იყოს სპორტსკოლისა და მისი სპორტსმენების მფარველი.

კოლაი ვაჟიბა, კომპლექსური სპორტული სკოლის დირექტორი, სპორტის ოსტატი და რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი სპორტსკოლელ სახეობებში.

გავიკირვით დროებით

დავიწყების ფერფლი გადაეწმინდა კიდეც ერთ მამაკაცს ტრადიციას. რამდენიმე სოფელში აპრილსა ურემი, ნიშა ხარები ეწვეიან კვანს. აღარ ჩანან „ვოლები“ და „მერსედესები“, ასფალტირებულ გზებზე ტვირთი მიაქვთ მეურმეებს. ჩელას გამოჩენამ, წარსულთან

შეხვედრამ, ერთდგარად შეაქროთ ხალხი, მაგრამ ეს ხომ ბუნებასთან ერთგვარი მიბრუნებაა, პირქუში დროით გამორწვეული, მაგრამ ყოფაში სიმშვიდის, იდლიის შემომტანი. გავისენოთ: მეურმე შეძლებულ კაცად ითვლებოდა სოფელში. ურემსაც ახლდა თავისი ზიბი. შემდეგ... შემდეგ კი არნახული სისწრაფით შემოიჭრა ტექნიკა. ათსანიერი მარ-

კის მანქანებმა დასერეს მიწარები, მაგრამ... მოახლოებული ახალი საუკუნის მიჯნაზე შემოგვკლდა საწვავ-საცხები, შემოგვკლდა სურსათი, სწორედ აქიტომ არ უნდა ვითავილოთ ურემი, გუთანი და თუ გნებავთ კავიცი: ვინ უწყის, იქნებ უფრო ხარისხიანი იყოს მათ მიერ დამუშავებული ნიადაგი. გავიკირვით დროებით. ლ. ჯაბუა.

დაგვიცინა „ელიტამ?“

ამას წინათ აფთიაქში შევიარე. რაღაც უბრალო წამალი მიწოდდა. სერიოზული თანხა დამისახელეს. გავიკირვებ რომ გაციოქვი, ამისხნეს: სახელმწიფო ფასი გახლავთ, უკვე მერამდმედე მოემბატა და კიდევ მისალონდნელი გაძვირებოდა. რას ვიზამდი, კუპონები გავწვოდე, მტრისას მე რომ დღეში ჩავვარდი. წამლები აღრე „რუსულ

ფულზე“ გვაქვს შეძენილი დარუსულ ფულზე უნდა გავვიდოთ. ბოლოს ნახევარ კუპონზე და ნახევარ რუსულ ფულზე შევთანხმდით. შინაგანად შეურაცხყოფილმა, ბავშვით დატუქსულმა, ყოველგვარი ზედმეტი ემოციებისა და აყალმაყალის გარეშე დავტოვე აფთიაქი. თუ სახელმწიფო მასზე დაქ-

ვემდებარებულ სავაჭრო ობიექტებში ვერ უზრუნველყოფდა კუპონებით ვაჭრობას, რაღაც შემოილო იგი? დაგვიცინა „ელიტამ“ უბრალო მოკვდავთ? მ. ცაბაძე, პედაგოგი. აფხაზეთიდან ლტოლვილი.

აგაღმავალი დონის კვანდიპაციის სპეციალისტთა მომზადების ექსპერიმენტის ჩატარებასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს 1993 წლის 2 მარტის №29 ბრძანებით ზუგდიდის კოლეჯის დამსწავლარი დამკვეთი გადამამდიდ უნდაღეს კოლეჯში.

ტექნოლოგია (საშუალო დამთავრებული. თერს). 5. დაწყებითი განათლება და პედაგოგია (საშუალო დამთავრებულითათვის). 6. ავტოსტრანსპორტო, სამშენებლო და საგზაო მანქანადანადგარების ექსპლოატაცია და რემონტი. (საშუალოდამთავრებულითათვის).

დაუსწრებელ განყოფილებაზე შემსველელს მოეთხოვებათ ამოხაწერი შრი მის წიგნაკიდან, უმაღლეს პოლიტექნიკურ კოლეჯში სწავლა უფასოა, სტუდენტებს მიცემთ სტაჟენდია 2800-დან 3200 მანეთამდე, აკადემიურ ღირსებების მიხედვით. კოლეჯში ჩარიცხულებს გაწვევა სამხედრო საქსახურში გადავადებათ კურსის დამთავრებამდე. საბუთების მიღება წარმოებს 20 იანვარს.

- 1. ეკონომიკა და დაგეგმვა სახალხო მეურნეობის დარგებში (9 კლასს. მთავრებულითათვის).
- 2. საბუღალტრო აღრიცხვა, სამეურნეო საქმიანობის კონტროლი და ანალიზი (საშუალო დამთავრებულითათვის).
- 3. დაკონსერვება-გამოკვების ტექნოლოგია (საშუალო დამთავრებულითათვის).
- 4. ჩაის პროდუქტთა და უალკოჰოლო სასმელების წარმოების

ტექნოლოგიური სპეციალობაზე შემსველელი მათემატიკა ზეპირის ნაცვლა აპარებენ გამოცდას ქენდა ზეპირში. კოლეჯში შემსველელმა დირექტორის სახელზე უნდა შემოიტანოქ სპეციალურ ბლანკზე შევსებული განცხადება შემდეგი საბუთების თანდართვით: განათლების მოწმობა (დედანი), კანონბრტობის ცნობა ფორმა „№086 უ“ 4კალი ფოტოსურათი ზინით 3X4,

კოლეჯში, მისამართი: ზუგდიდი, სოხუმის ქ. №2, უმაღლესი პოლიტექნიკური კოლეჯი, (ყოფილი პოლიტექნიკური ტექნიკუმი). ინფორმაცია კომისია.

რუბენ ქაბურიას სსოვნას

ადმინისტრაციული ორგანოების თანამშრომელთა რიგებს გამოაკლდა ვალმოხდილი ჩეიქტი, ათეული წლების მანძილზე საზოგადოეთოვი ევსრიგის სადახაჯოზე პროფესიული ერთგულებით მღვდომ მუშაკი, შილიცაა აარილი რუბენ სოსოსიანიანი. მისი ვაქცინის აკადემიისა და სსოვნასი.

გაზრდა კადრი იმთავითვე ჩვეული ენერგოლობით ჩაება შინაგან საქმეთა ზუგდიდის განყოფილების საქმიანობაში, წარმატებით ართმედა თავს დაკისრებულ მოვალეობას სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე. მის გვერდით მყოფ კოლეგებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს მჭონდათ საშუალება ესწავლათ მწგან ოპერატიული სპორტისობა, ჩეიქსტური ადლო, მიცემული დავალებსადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულების კულტურა. წესიერა, გულთბილი კოლეგის, უღალატო მეგობრის ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენში. მემორარბი.

სარედაქციო კოლეგია

შვილები: დოდო, ტიტუშა, შინდორი, ვასო, ზურაბი, შვილიშვილები: ანა, ნანა, ნინო, სალომე, ვალერი გაბრავები. მარტიკა, ნიკა ჯანაშიები, რძლები: დლიკვარაცხელია, მანანა გეთია, სიძეები: თამაზ ჯანაშია, კარლო გვალია, მზახლები ვალია ჯანაშია, ნიურა კვარაცხელია, ვუჭა, ვაუა გეთიები, ძმისშვილები: რიგიკო, რამინი, მზისაღობი, დათო, სარიდანი, გია, ნუგზარი აფაქიძეები და ახლო ნათესალები ოჯახებით იუწყებიან

ცუცა ილიარიონის ასულ აფაქიძე-გაბრავას გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2 ივლისს. დაკრძალვა 3 ივლისს, 18 საათზე. გამოსვენება გელა ნიუარაძის (ყოფილი ენგელის) ქ. X 28.

აკაკი წერეთლის სახელობის ზუგდიდის სამასწავლებლო ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის 1947 წელს კურსდამთავრებული იუწყებიან შარდენ ნიკოლოზის ძე ქაიხაძის გარდაცვალებას და თანატოლებთან განსვენებულის ოჯახს.